

სტუდენტის ეთიკის კოდექსი

თბილისი



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია

რექტორის 2012 წლის 4 ივნისის ბრძანება №01-01/36

სტუდენტის ეთიკის კოდექსი

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84
2. რექტორის 2019 წლის 01 მარტი ბრძანება №01-01/18

სტუდენტის ეთიკის კოდექსი

პრეამბულა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის ეთიკის კოდექსი ემყარება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ, მორალურ, კულტურულ და სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავს მთლიანად უნივერსიტეტის ზოგად ეთიკურ პრინციპებს.

სტუდენტის ეთიკის კოდექსი სტუდენტის ინტერესებს განიხილავს უნივერსიტეტის ინტერესების განუყოფელ ნაწილად და ამ პოზიციის საფუძველზე ადგენს სტუდენტის ქცევის წესებს.

ეთიკის კოდექსი არეგულირებს სტუდენტების აკადემიურ და ყოფაქცევით ურთიერთობებს ერთმანეთთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და დამხმარე პერსონალთან.

გთუნი პატივს სცემს ყველა სტუდენტის ღირსებას, უფლებებსა და თავისუფლებას და ყოველი სტუდენტისგან, შიდა საუნივერსიტეტო თანამეგობრობის ფარგლებში მოითხოვს საუნივერსიტეტო საზოგადოების – აკადემიური, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის, სხვა სტუდენტების ღირსებისა და უფლებების პატივისცემას.

საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრობა სტუდენტს ანიჭებს უფლებებს და ამასთანავე აკისრებს მოვალეობებს, რომლებიც გამომდინარეობენ გთუნი-ს მისიიდან და ამოცანებიდან.

სტუდენტის ეთიკის კოდექსის დანიშნულებაა, დაადგინოს სტანდარტები და პროცედურები, რომლებიც აუცილებელია სწავლისა და კვლევისათვის საუკეთესო გარემოს შესანარჩუნებლად საუნივერსიტეტო გარემოში და წარმოადგენს სტუდენტის სახელმძღვანელოს საუნივერსიტეტო გარემოში ქცევისათვის.

მუხლი 1. სამართლებრივი საფუძველები

1. ამ კოდექსის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება და სხვა ნორმატიული დოკუმენტები.
2. ეს კოდექსი ადგენს ქცევის ზოგად და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებულ ეთიკის ნორმებს.

მუხლი 2. ეთიკის კოდექსის მოქმედების სფერო

1. ეს კოდექსი ვრცელდება გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებზე და აწესრიგებს მათი ქცევის წესებს უნივერსიტეტში სწავლის მთელი პერიოდისათვის;
2. ამ კოდექსის მიზნებისათვის სტუდენტად მიიჩნევა:
 - ა. პირი, რომელიც სწავლობს გთუნიში ბაკალავრიატის და მაგისტრატურის მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
 - ბ. პირი, რომელიც უნივერსიტეტის რომელიმე ფაკულტეტზე და/ან უწყვეტი განათლების ცენტრში გადის ტრენინგს/სტაჟირებას.

მუხლი 3. სტუდენტის ეთიკის კოდექსის პრინციპები

1. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით და სხვა მარეგულირებელი აქტებით მისთვის მინიჭებული უფლებებით;

2. სტუდენტი ვალდებულია გაიზიაროს სტუდენტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დებულებები, ღირებულებები, პრინციპები და იცავს მათ;
3. სტუდენტი აღიარებს უნივერსიტეტის უფლებას, ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ამასთან, იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება;
4. სტუდენტი დამოუკიდებელი, თავისუფალი პიროვნებაა. მას აქვს უნარი, თავად შეაფასოს საკუთარი ქცევა და განსაზღვროს მისი შედეგები;
5. სტუდენტის მიმართ დისციპლინური ზომები გამოიყენება ამ კოდექსით დადგენილ ზოგად და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკური წესების დარღვევის შემთხვევაში

მუხლი 4. სტუდენტის ვალდებულებები

1. სტუდენტი ვალდებულია კეთილგონიერებითა და სიფრთხილით მოეკიდოს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ღირსებას, მის პირად ქონებრივ და/ან არაქონებრივ უფლებებს;
2. აკრძალულია, სტუდენტის მიერ სხვა პირის დისკრიმინაცია და/ან არატოლერანტული დამოკიდებულება - რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე;
3. სტუდენტი პატივს სცემს უნივერსიტეტის სახელს, სიმბოლოებს და საქმიან რეპუტაციას;
4. სტუდენტი ვალდებულია განუხრელად დაიცავს წინამდებარე ეთიკის კოდექსით განსაზღვრული წესები და დაემორჩილოს დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილებას.

მუხლი 5. სტუდენტის უფლებები სტუდენტს

უფლება აქვს:

1. მიიღოს ხარისხიანი განათლება;
2. მიიღოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია;
3. გაეცნოს სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს;
4. აირჩიოს სასწავლო პროგრამა/კურსები;
5. მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
6. შეაფასოს პროფესორ-მასწავლებლის მიერ ჩატარებული ლექცია-სემინარის ხარისხი და საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსი;
7. მიიღოს მონაწილეობა უნივერსიტეტის მართვაში;
8. მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, კონფერენციებში, კულტურულ და სხვა სახის ღონისძიებებში;
9. მიიღოს სტიპენდია, ისარგებლოს გოთუნის მხარდაჭერის სერვისებით (განსაზღვრული წესის შესაბამისად);
10. გოთუნის რეგულაციებით დადგენილი წესით, თანაბარ პირობებში ისარგებლოს გოთუნის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
11. გაწევრიანდეს სტუდენტურ გაერთიანებებში/საინიციატივო/შემოქმედებით ჯგუფებში, სტუდენტური ცხოვრების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით;
12. ითანამშრომლოს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობებისა და კარიერული მხარდაჭერის განყოფილებასთან და მოახდინოს სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხების ინიცირება;

13. საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში
14. თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
15. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას მისთვის მიუღებელ იდეათა გაზიარებაზე, თუ კი ასეთს სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
16. საქართველოს კანონმდებლობითა და გთუნის რეგულაციებით განსაზღვრული წესით გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
17. საქართველოს კანონმდებლობისა და გთუნის დებულებისა და საერთო საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტების შესაბამისად სახელმწიფოსგან, გთუნისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
18. ინიცირება მოახდინოს ან/და მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში გთუნის რეგულაციების შესაბამისად;
19. მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორებისა და გთუნის ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტიანობის შეფასებაში;
20. კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს მობილობის უფლებით, თუ უნივერსიტეტი ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება;
21. ჩაერთოს გთუნის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით განსაზღვრულ აქტივობებში, Erasmus + სტუდენტთა მობილობის და სხვა საერთაშორისო პროექტებში გთუნის მიერ განსაზღვრული წესით;
22. უზრუნველყოფილი იყოს გთუნის მიერ მისი ცოდნის სამართლიანი, ობიექტური შეფასებით, დადგენილი პროცედურების შესაბამისად;
23. დაიცვას საკუთარი უფლებები და კანონიერი ინტერესები და გაასაჩივროს გთუნის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;
24. განახორციელოს გთუნის რეგულაციებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.
25. უნივერსიტეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის აწესებს შეღავათებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის პირობების შესაქმნელად, რაც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და გთუნის რეგულაციებით.

მუხლი 6. ეთიკის ზოგადი წესები

სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

1. უნივერსიტეტში მოქმედი წესებისა და სხვა საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევა/უგულვებელყოფა;
2. გთუნის სახელის, საქმიანი რეპუტაციის, სიმბოლოების მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულება.
3. ცრუ და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება უნივერსიტეტის საქმიანობის ან უნივერსიტეტში დასაქმებული პირების შესახებ.

4. აკადემიური პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე დაგვიანება, ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური, ელექტროენერჯის გათიშვა და სხვა);
5. გთუნის ნებისმიერი საქმიანობის (ლექციის, პრაქტიკული მეცადინეობის, სემინარის, გამოცდის, საჯარო შეხვედრის, სამეცნიერო, შემეცნებითი, კულტურული, სპორტული) ღონისძიების ჩაშლა;
6. ლექცია -სემინარებზე უცხო პირის შეყვანა შეთანხმების გარეშე;
7. თამბაქოს მოხმარება საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
8. ნარკოტიკული და/ან ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება და სხვა (გარდა ექიმის მიერ დანიშნულისა);
9. ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის გამოყენება, შემოტანა და/ან გავრცელება; ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების საფრთხეს ქმნის;
10. უნივერსიტეტის კუთვნილი ან დროებით სარგებლობაში მყოფი მოძრავი ქონების დაზიანება და/ან არამართლზომიერი გამოყენება; საუნივერსიტეტო სივრცის, მოძრავი ან უძრავი ქონების არამართლზომიერი და უნებართვო გამოყენება ნებისმიერი მიზნით.
11. ინვენტარით სარგებლობის წესის დარღვევა (მერხებზე და სხვა ინვენტარზე წარწერების გაკეთება; კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დაზიანება და/ან არამართლზომიერი გამოყენება, ნარგავების დაზიანება; უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის დაზიანება და იერსახის დამახინჯება და სხვა);
12. ბილწისტყვაობა, უხამსობა, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა და სხვა;
13. ძალადობა, მუქარა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტ(ებ)ის, აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის და/ან მოწვეული პირებისათვის;
14. სიძულვილის ენის გამოყენება, დისკრიმინაცია, ძალადობისკენ მოწოდება და/ან ცილისწამება უნივერსიტეტის სხვა სტუდენტ(ებ)ის, აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის და/ან მოწვეული პირებისთვის.
15. სხვა სტუდენტის საკუთრების განზრახ ხელყოფა, დაზიანება, განადგურება, საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა, ამ ქმედებათა მცდელობა, მათ შორის, ჩადენილი მოტყუებით ან მუქართ.
16. წინასწარი გაფრთხილების და/ან შეთანხმების გარეშე, ფარული ვიდეო/ფოტო/აუდიო ჩანაწერის განხორციელება/გავრცელება;
17. უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი პირის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.

მუხლი 7. აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის ნორმები სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

1. პლაგიატის ნებისმიერი ფორმის გამოყენება, რაც განსაზღვრულია პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესით;
2. აკადემიური სიყალბე, რასაც მიეკუთვნება:

- 2.1. სხვისი ნამუშევრის სრულად ან ნაწილობრივ გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე;
- 2.2. საბაკალავრო//სამაგისტრო ნაშრომის ყიდვა;
- 2.3. ნებისმიერი სახის წინასწარ მომზადებული დამხმარე მასალის, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება/გადაწერა, რომელიც არ არის ნებადართული (მათ შორის მობილური ტელეფონი, პლანშეტური კომპიუტერი და/ან ნებისმიერი ელექტრო მოწყობილობა და სხვა);
- 2.4. კვლევითი სამუშაოების და/ან საუნივერსიტეტო მონაცემების, შედეგებისა და ინფორმაციების გაყალბება;
- 2.5. სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება, ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად;
- 2.6. ქულის შეცვლის/ამაღლების მიზნით საგამოცდო მასალების, რომლებიც კონფიდენციალურია, ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება და ასევე ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ შეცვლა ან სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება;
- 2.7. სასურველი შეფასების მიღების მიზნით ლექტორზე, გამომცემელზე, უნივერსიტეტის თანამშრომელზე ზეწოლა;
- 2.8. სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა ან ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით.
- 2.9. საუნივერსიტეტო დოკუმენტების/მონაცემების ან უნივერსიტეტში წარსადგენი დოკუმენტ(ებ)ის გაყალბება;
- 2.10. სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა.

მუხლი 8. დისციპლინური პასუხისმგებლობისათვის გათვალისწინებული საწესდებო:

1. ზეპირი გაფრთხილება;
2. მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
3. წერილობითი გაფრთხილება პირად საქმეში შეტანით;
4. საყვედური პირად საქმეში შეტანით;
5. სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით;
6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, გაირიცხვა უნივერსიტეტიდან. მუხლი 9.

პასუხისმგებლობა ეთიკის ზოგადი წესების დარღვევისათვის

1. ამ კოდექსის მე-6 მუხლში აღნიშნული ქმედებების შემჩნევისას (გარდა მე-8-9-13-15 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მათი აღკვეთის მიზნით, უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს უფლება აქვს სტუდენტს მისცეს შენიშვნა და ზეპირი გაფრთხილება, შეადგინოს ოქმი ქმედების შესახებ, განუმარტოს თუ რა ღონისძიებები გატარდება მის მიმართ იგივე ქმედების განმეორებისას.
2. ამ კოდექსის მე-6 მუხლის მე-8-9-13-15 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენისას უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური აღნიშნულის შესახებ ატყობინებს პოლიციას, სტუდენტს აძლევს შენიშვნას და ზეპირ გაფრთხილებას, აგრეთვე ვალდებულია შეადგინოს ოქმი ქმედების შესახებ და სტუდენტს განუმარტოს თუ რა ღონისძიებები გატარდება მის მიმართ იგივე ქმედების განმეორებისას.

3. დისციპლინური კომისია წყვეტს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომას, რაც უნდა შეესაბამებოდეს დარღვევის სიმძიმეს.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა ეთიკის აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული დარღვევისათვის

1. ამ კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას უნივერსიტეტის დისციპლინური კომისია იღებს ამ კოდექსის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას, რომელსაც აკადემიური შეფასების განსაზღვრისათვის უგზავნის ფაკულტეტის საბჭოს.

მუხლი 11. დისციპლინური კომისიის დისკრეციული უფლებამოსილება

1. სანქციების გამოყენებას ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაცდომების ჩადენისას, დისციპლინური კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს ინდივიდუალურად, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის, შედეგების, პრეცედენტული ხასიათის, გადაცდომის მრავალჯერადი განმეორებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. კომისიას, შესაბამისი გარემოებების არსებობისას, შეუძლია გამოიყენოს ამ კოდექსით განსაზღვრული პასუხისმგებლობებისგან განსხვავებული სხვა, შემამსუბუქებელი სანქცია.

მუხლი 12. დისციპლინური კომისია

1. სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის შესაფასებლად იქმნება დისციპლინური კომისია;
2. დისციპლინური კომისია (დროებითი სამუშაო ორგანო) იქმნება რექტორის ბრძანების საფუძველზე, რომლის შემადგენლობაში სავალდებულოა ფაკულტეტ(ებ)ის ხელმძღვანელების და გთუნის იურისტის ყოფნა.
3. კომისიის სხდომაში (წევრად) მონაწილეობის უფლება არ აქვს იმ პირს, რომელმაც აღძრა საქმე დისციპლინური ღონისძიებების გატარებისათვის;
4. ეთიკის კოდექსის დარღვევების განხილვა მიმდინარეობს კომისიის სხდომაზე. სხდომა ლეგიტიმურია, თუკი სხდომას ესწრება წევრების ნახევარზე მეტი მაინც; 5. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 13. დისციპლინური წარმოების განხორციელების წესი

1. ეთიკის ზოგად და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევის ფაქტებზე სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრა შეუძლია გთუნის საქმიანობაში ჩართულ ნებისმიერ პირს, ან პირს, რომელსაც შეუძლია დაამოწმოს ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტი.
2. ეთიკის ზოგად და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევის ფაქტებზე სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრა შეუძლია ასევე სტუდენტს, რომელმაც უნდა მიმართოს რექტორს განცხადებით, რომელშიც აღინიშნება - ვინ დაარღვია ეთიკის კოდექსი, სად და როდის მოხდა დარღვევა, და აღწერილი იქნება ინციდენტი;
3. ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს მხოლოდ უნივერსიტეტის დისციპლინური კომისია და აკრძალულია სტუდენტისათვის სხვა პირის/ორგანოს მიერ დისციპლინური სახდელის დადება, გარდა ამ კოდექსით დადგენილი სხვა წესისა;

4. დისციპლინური კომისიის სხდომის გამართვის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი, დამსწრეთა ვინაობა, ინფორმაცია კომისიის ლეგიტიმურობის შესახებ, გადადების საფუძველი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მიღებული გადაწყვეტილება. ოქმს ხელს აწერს სხდომის ყველა დამსწრე წევრი. 14. სტუდენტის უფლება დისციპლინური წარმოების განხორციელების პროცესში სტუდენტს უფლება აქვს:

1. უნივერსიტეტისაგან მიიღოს შეტყობინება (წერილობითი ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
2. დაესწროს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას, დაიცვას საკუთარი უფლებები;
3. დისციპლინურ კომისიაზე სტუდენტმა წარმოადგინოს საკუთარი ახსნა-განმარტება და მიაწოდოს უნივერსიტეტის დისციპლინურ კომისიას თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
4. მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის დისციპლინური კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში. ამასთან, ეს უფლება შესაძლოა დროებით შეეზღუდოს წარმოების პროცესში მიკერძოებისა და ზეგავლენისგან დაცვის მოტივით, თუმცა პროცესის დასრულების შემდგომ წარმოების მასალების გაცნობისა და მიღების შეზღუდვა დაუშვებელია;
5. სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის დისციპლინური კომისიის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

15. დისციპლინური კომისიის უფლებამოსილება კომისია

უფლებამოსილია:

1. მოსთხოვოს სტუდენტს საკუთარი მოქმედების ზეპირი ან/და წერილობითი აღწერა და განმარტება; იმსჯელოს სტუდენტის დისციპლინური გადაცდომის საკითხზე, მიუხედავად იმისა სტუდენტი ესწრება თუ არა სხდომას,
2. ამ კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევისათვის სტუდენტს შეუფარდოს შესაბამისი პასუხისმგებლობის სახე და ზომა;
3. დაუმძიმოს პასუხისმგებლობა სტუდენტს, მის მიერ დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში;
4. სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში დისციპლინურმა კომისიამ შესაძლოა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება ამ სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე. ხოლო ზედიზედ სამჯერ ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში, უწყვეტს სტუდენტის სტატუსს.
5. სტუდენტის მიერ განმეორებით ეთიკის ნორმების დარღვევის საკითხის განხილვისას, მხედველობაში მიიღება მის მიერ სწავლის ნებისმიერ საფეხურზე (ნებისმიერი პროგრამის გავლისას) ჩადენილი გადაცდომა.

მუხლი 16. დისციპლინური კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება

1. ამ კოდექსის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებას, დისციპლინური კომისია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შუამდგომლობით უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით;
2. უნივერსიტეტის რექტორი ვალდებულია გაატაროს ყველა ღონისძიება, რომელიც დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილების აღსრულებისთვისაა სავალდებულო.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებანი

1. გთუნი უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე კოდექსში, რომელიც არ უნდა იწვევდეს სტუდენტის უფლებებისა და თავისუფლებების რაიმე სახით შეზღუდვას, ასევე არ უნდა იწვევდეს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლას;
2. აკრძალულია სტუდენტს დაედოს დისციპლინური სახდელი იმ ქმედებისათვის, რომელიც არ იწვევდა სტუდენტის პასუხისმგებლობას მისი ჩადენის დროს. აგრეთვე დაუშვებელია კოდექსისთვის უკუქცევითი ძალის მინიჭება, თუ ის ამძიმებს სტუდენტის მდგომარეობას;
3. უნივერსიტეტი ვალდებულია ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს თვალსაჩინო ადგილას ან/და განათავსოს ვებგვერდზე;

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84
2. რექტორის 2019 წლის 01 მარტი ბრძანება №01-01/18